	„ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში პირველი მუნიციპალიტეტია, რომელიც 2011 წლიდან მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. ხოლო ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშუალებით 2023 წლიდან დაიწყო მართვა „ნუგზარ ზაზანაშვილის		



სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა“

ადმინისტრაციას აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა და მასში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:

1. უნიკალური ეკოსისტემების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება-დაღუპვისგან დაცვა;
2. უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება;
3. ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება;
4. თუშეთის უნიკალური ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება;
5. ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
6. ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება;
7. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესწავლა და განვითარების მხარდაჭერა;
8. თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა;
9. ძირითადი ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა;
10. თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების (თუშური ცხვარი, თუშური ცხენი) დაცვის სტრატეგიის შემუშავება;
11. დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა.

სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნის მიზნებია:

1. ქურციკის (*Gazella subgutturosa*) პოპულაციის აღდგენა, დაცვა და მოვლა;
2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ძეგლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, დაცვის, აღდგენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა;
3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისთვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება;
4. გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და ქურციკის პოპულაციის აღდგენის საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;
5. ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთობის განვითარება და გაძლიერება;
6. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე;
7. სამეცნიერო კვლევა და გარემოს მონიტორინგის წარმოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის კუთხით;
8. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერება და ერთიანობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“-ის სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ.

თუშეთის შიდა საავტომობილო გზებს ყოველწლიურად ესჭიროება აღდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადაეცა სამი ერთეული საგზაო სპეც. ტექნიკა და კონკრეტული ფინანსური რესურსი.

ზემო აღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური რესურსის მეშვეობით, თდლ-ს ადმინისტრაციამ არამხოლოდ უზრუნველყო თუშეთის ყველა ხეობაში (ჭანჭახოვანი, ჩადმა, გომეწარი, პირიქითი, წოვათა) ყოველწლიური გზის გაწმენდა- შენარჩუნება სეზონის განმავლობაში, არამედ შეძლო წლების მანძილზე საავტომობილო გზის გარეშე მყოფი ხეობებისა და სოფლების (წოვათის ხეობის 7 და გომეწარის 1 სოფელი) გარესამყაროსთან დაკავშირება. მოიხრემა და გაკეთდა წლების განმავლობაში ხეობის ცალკეული დახრამული და დაზიანებული მონაკვეთები და სოფლების ქუჩები, ამოიცვალა დაზიანებული ხიდ-ბოგირები. ადმინისტრაციის ტექნიკა, ექსკავატორი თუ თვითმცლელი ემსახურება აგრეთვე თუშეთის სხვადასხვა სოფლის სასმელი წყლის სისტემის დაზიანებული ადგილების შესაკეთებლად საჭირო სამუშაოების შესრულებას და ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა კერძო სამუშაოების შესასრულებლად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	03 02 02		2024 წელი



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხელის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შემით დახმარება). ტყე-პარკ „წყაროებში“ წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება მთელი ტერიტორია. ტყე-პარკი „ბახტიონი“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოები ტარდება ტყე-პარკ „შვეიცარიისა“ და ტყე-პარკ „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 37 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 32.</p>

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
03 03	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	2024 წელი 1611,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმართულებით, ისეთი ქვეპროგრამები როგორცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხეების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია		

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
03 03 01	ქვეპროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	2024 წელი 335,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.		



--	--

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
03 03 04	ქვეპროგრამის დასახელება	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	2024 წელი
			234,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეებსა და ხეობებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მოეწყობა ქვის გაბიონები საჭიროებისამებრ, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.	

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
03 03 03	ქვეპროგრამის დასახელება	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	2024 წელი
			884.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>მთიანი და ფართოდ გაშლილი რელიეფის გამო მუნიციპალიტეტის სოფლები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისით რომ ისარგებლოს მოსახლეობამ (მაგალითად საავადმყოფო, სამხატვრო თუ სახელოვნებო სკოლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ცენტრები) ხშირად უწევთ დიდი მანძილის ფეხით გავლა და ამასთან მნიშვნელოვანი დროის დაკარგვა. კერძო სექტორის სატრანსპორტო კომპანია აღნიშნული სერვისით არ არის დაინტერესებული. ამისათვის შეიქმნა საჭიროება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, შეძენილი იქნას ავტობუსები რომ მოქალაქეებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა, პენსიონერებმა, ქალებმა, კაცებმა, ბავშვებმა, შშმ პირებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, დროის მცირე დანაკარგებით შეძლონ გადაადგილება რათა არ იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული არცერთი სერვისით სარგებლობა მწელად მიღწევადი.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა სამი ერთეული სამგაზვრო ავტობუსის შეძენა, ორი ავტობუსი შეძენილი უნდა იქნას ადგილ. ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო მესამე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.</p> <p>კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, თითოეულ შეძენილი ავტობუსის 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, 2024 წელს - სრული ღირებულების 30%-ს, 2025 წელს 30%-ს.</p> <p>დასახლებული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით შეძენილ უნდა იქნეს 16 მ³ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება იქნება 396 180 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60%.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებელი გატანა.</p>	



2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, გენდერული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღქმას, ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას;

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	5,736.1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,037.1
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ ს.ბაღების ცენტრი	4,808.8
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	228.3
04 02	ზოგადი განათლება	699.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დაფინანსება ათას ლარებში
	2024 წელი	
პროგრამის დასახელება	04 01	5,037.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.</p> <p>მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 36 საბავშვო ბაღიდან სრულად რეაბილიტირებულია 12 საბავშვო ბაღი, 22 ნაწილობრივ რეაბილიტირებული, ხოლო 2 საბავშვო ბაღი განთავსებულია იჯარით აღებულ შენობაში.</p> <p>პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღის შენობა ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.</p>	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში
	04 01 01		2024 წელი
			4,808.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის აღწერა: სამოქმედო პროგრამა ძირითადად მოიცავს 3 მიმართულებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სასწავლო სააღმზრდელო სისტემის სრულყოფა; 2. სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ. მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი; 3. ბავშვებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოზე ზრუნვის უნარების ჩამოყალიბება. გარდა იმისა რომ სკოლამდელი დაწესებულებების საშუალებით სახელმწიფო ზრუნავს ბავშვთა სრულყოფილ განვითარებასა და განათლებაზე, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების არსებობა ხელს უწყობს ბავშვის მშობლებს, მუნიციპალიტეტის ქალებს გამოიხილონ დრო და შვილების აღზრდასთან ერთად დაკავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებით. მოახდინონ თვითრეალიზაცია, დასაქმდნენ სხვადასხვა სფეროში და მიიღონ შემოსავალი. <p>2023 წლის მონაცემებით ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. გენდერული სტატისტიკით რეგისტრირებული 1150 ბავშვიდან გოგონათა რაოდენობაა 577, ბიჭების 642 ყოველდღიური დასწრება საშუალოდ არის 900 ბავშვი. კვების თანხა გათვალისწინებული იქნება დღეში 4.2 ლარი, 180 დღეზე სულ 700000 ლარი.</p> <p>სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 410 თანამშრომელი, მათ შორის 95% არის ქალი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ა) ინკლუზიური განათლების დანერგვა; ბ) სააღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება;</p> <p>გ) სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ, მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი.</p> <p>დ) აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში გასეირნებები და ექსკურსიები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		2024 წელი
			699.0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
---------------------------------------	---	--	--

პროგრამის აღწერა და	<p>1. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველ წელს დაჯილდოვდებიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები. აღნიშნული ღონისძიება იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდებისათვის იყვნენ უფრო მეტად წარმატებულნი, მიიღონ სათანადო განათლება, რადგან განათლებული ადამიანი არის საძირკველი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის და უკეთესი მომავლის. ამ კამპანიის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში 2023-</p>		
---------------------	---	--	--



მიზანი	2024 სასწავლო წელს კურსდამთავრებებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. მათ შორის ოქროსმედალოსნებს 500 ლარი, ვერცხლისმედალოსნებს 400 ლარი. 2. მუნიციპალიტეტის წარმატებული პედაგოგები დაჯილდოვდებიან ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით.
--------	---

3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გენდერული საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,033.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,297.6
05 01 01	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	1,013.0
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“	294.9
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	64.1
05 01 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,925.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,543.0
05 02 01	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	970.6
05 02 02	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	572.4
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	101.0
05 04	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი	91.9

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01		2024 წელი



		3,297.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების სპორტით დაინტერესების და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მოეწყობა შეჯიბრებები და სახელობითი ტურნირები, თითოეული სპორტსმენი ცალკე და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებზე. უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		2024 წელი
			1013,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება
--	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კომპლექსური სკოლა უზრუნველყოფს სწავლებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (8 -დან 30 წლამდე). სპორტსმენები იღებენ მონაწილეობას რეგიონალურ, საქართველოს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე. ტარდება სპორტული შეკრებები. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 11 სპორტული სახეობა და ვარჯიშობს 764 სპორტსმენი. აქედან 640 არის ბიჭი, 124 არის გოგო.</p> <ul style="list-style-type: none"> • კალათბურთი 139 ბავშვ, მათ შორის 90 გოგო • ძიუდო - 311 ბავშვი, მათ შორის 12 გოგო • მკლავჭიდი 56 ბავშვი მათ შორის 4 გოგო • კინგბოქსი - 52 ბავშვი მათ შორის 4 გოგო • თავისუფალი ჭიდაობა - 15 ბავშვი მათ შორის 2 გოგო • საცხენოსნო სპორტი 27 ბავშვი მათ შორის 10 გოგო • რაგბი 64 ბიჭი • კრივი - 35 ბავშვი მათ შორის 2 გოგო • ათლეტიზმი - 25 ბიჭი. • ბერძნულ რომაული ჭიდაობა 30 ბიჭი • მაგიდის ჩოგბურთი - 10 ბიჭი <p>ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები. მწვრთნელთა შორის მხოლოდ ერთია ქალი (კალათბურთის მწვრთნელი) დანარჩენი ქალები (17) დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტული სახეობების განვითარება, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		2024 წელი
			294.9

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლის გარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“
--	---

	საფეხბურთო სკოლა უზრუნველყოფს სწავლას ფეხბურთის მიმართულებით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (5-დან-18-წლამდე) 220 სპორტსმენს, აქედან 8 არის გოგო, 212 არის ბიჭი. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობენ თბილისის მერიის თასის გათამაშების ტურნირზე და კახეთის ჩემპიონატზე. სკოლა გეგმავს ბიუჯეტიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად მოეწყოს საზაფხულო
--	---



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შეკრებები აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები (82%), ქალები დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში (18%).
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 04		2024 წელი
			1,925.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ.</p> <p>სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მისაღები სესხით მოეწყობა იპოდრომი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც ხელს შეუწყობს ცხენოსნობის განვითარებას.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02		2024 წელი
			1,543.0
პროგრამის დასახელება	ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით მოხდება კულტურისა და სხვადასხვა სახელოვნებო დარგებისა და კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა. პროგრამის მიზანს, ასევე, წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვა და შენარჩუნება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
			2024 წელი



	05 02 01		970.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წლის განმავლობაში დაგეგმილია 41 მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ესენია:</p> <p>კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 14 სიმღერისა და ცეკვის წრე (როგორც ქ.ახმეტაში ისე სხვადასხვა სოფლებში), სადაც დაკავებულია 243 ბავშვი. მათ შორის 146 გოგონაა. კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 5 სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ჩვენი მუშაობით ვფიქრობთ კულტურულ ღონისძიებებში, რაც შიძლება ბევრი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, კულტურული მიმართულებების ხელშეწყობას რათა რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაკავდეს სხვადასხვა სახის წრეებით.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია ოთხი მუზეუმი: ახმეტის ისტორიის მუზეუმი, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, იგეგმება ახალი ექსპონატების შემატება ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, მუზეუმების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისი ღონისძიებების გამართვა რათა გაიზარდოს მუზეუმების ცნობადობა, გაიზარდოს ვიზიტორების რაოდენობა.</p> <p>საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ქ.ახმეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 სასოფლო ბიბლიოთეკა, მკითხველის მოზიდვის მიზნით იგეგმება ახალი წიგნების და ჟურნალ გაზეთების შეძენა, კატალოგიზაცია, ბიბლიოთეკებში განაწილება, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა (ლიტერატურული საღამოები, გასვლა საჯარო ადგილებში ახალი წიგნების გამოფენა, ცნობილი შემოქმედი ადამიანების მოწვევა ბიბლიოთეკაში მათი საღამოების ორგანიზება...), მკითხველის მოზიდვის მიზნით, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენარჩუნება.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტი ისტორიული ძეგლების რაოდენობის მხრივ, ძეგლთა დაცვა მუდმივად ახდენს მათ მოვლა-პატრონობას, ფოტოდოკუმენტირებას, პასპორტიზაციას, ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა წიგნი „ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“. სამსახური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, ძეგლთა დაცვის საგენტოს მუდმივად აწვდის ინფორმაციის ახალი ობიექტების შესახებ რათა მოხდეს მათთვის სტატუსის მინიჭება რაც უზრუნველყოფს მათ დაცვა - შენარჩუნებას.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 150 ადამიანს. აქედან ქალი არის 90, კაცი 60.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, მეტი ბავშვის დაკავება სხვადასხვა სახის წრეებით. მუზეუმების შენობების მოვლა პატრონობა მათ შემდგომი განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა. ბიბლიოთეკების შენობების მოვლა პატრონობა, წიგნადი ფონდის განახლება, მკითხველის დაინტერესება და მოზიდვა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა, პოპულარიზაცია, შეუსწავლელი ძეგლების გამოვლენა ფოტოდოკუმენტირება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		2024 წელი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური			572,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება		
	სკოლა ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას. ამისათვის		



სკოლაში არსებობს:

- სამხატვრო განყოფილება ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია 174 ბავშვი - მათ შორის 129 გოგო;
- თიხა-კერამიკის სახელოსნო - 20 ბავშვი - 14 გოგო, 6 ბიჭი;
- ქართული დამწერლობის და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელი წრე - 4 გოგო;
- თეატრ და ქარგვა - 23 მოსწავლე - აქედან 21 გოგო;
- ჭადრაკის წრე - 25 ბავშვი, მათ შორის 4 გოგო და 21 ბიჭი;
- მუსიკალური წრე- სტუდია „ბასტი-ბუბუ“ 21 ბავშვი, აქედან 14 გოგო 7 ბიჭი;
- სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 254 ბავშვი, მათ შორის გოგო 190

ხელოვნების დარგების შესწავლა შეუძლიათ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სკოლადამთავრებულებს და ზრდასრულებს, დიასახლისებს, პენსიონერებს, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალთა ჩართულობის გააქტიურებას ეკონომიკურ პროცესებში, ადგილობრივ დონეზე, რადგან აქ ნასწავლი ხელოვნება შეიძლება მომავალში გახდეს მათი შემოსავლის წყარო.

ბასტი-ბუბუს წრეზე ხდება სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისათვის სრულიად უფასოდ საესტრადო სიმღერების სწავლება, მათი ჩართულობით მუნიციპალურ და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მღება. მუსიკას ეუფლებიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით იძენენ ცოდნას და ხალისით იღებენ მონაწილეობას კონცერტებსა და ღონისძიებებში.

სამუსიკო სკოლების გაერთიანება ემსახურება ახალგაზრდების მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობას მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის შეწავლას და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ასევე ხელს უწყობს ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა: ახმეტის, სოფ. მატნის, ზ.ალენის, ქვ. ალენის და დუისის სამუსიკო სკოლები. სწავლის გადასახადი ერთ მოსწავლეზე შეადგენს 10 ლარს.

გაერთიანებასთან ფუნქციონირებს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“.

ქვეპროგრამის მიზანია ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა

ქვეპროგრამის ღწერა და მიზანი

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		2024 წელი
			101.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა-პლენერი (აქსესუარების, პრიზების, საჩუქრების შესამდნად); • ლიტერატურული კონკურსი (ესე); • მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (მსკ). • ახალგაზრდული აქტივობები: <ul style="list-style-type: none"> - დედაენის დღე - 14 აპრილი; დასუფთავების აქცია; - შშმ პირთა ინტეგრაციის ღონისძიება . • ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (ასფალტზე ხატვის ორგანიზება, კონცერტი, გამოფენის მოწყობა, ფერების ფესტივალი, ანიმატორების მოწვევა) ; • საზაფხულო ბანაკები, მათ შორის: ახალგაზრდული აქტივობები - დისკოთეკები, კონცერტები, გასვლითი შეხვედრები სოფლებში. ახალგაზრდული აქტივობების ლაშქრობების და ექსკურსიების ციკლი „ შეიცანი შენი მხარე“ (კვეტერა, თორღვა-პანკელის ციხე, ალენის ცხრაკარა, ზახტრიონის ციხე, ალავერდი, გრემი-ნეკრესი, იყალთოს აკადემია, მცხეთა, დავით-გარეჯი, წინანდალი, ერეკლეს სახლმუზეუმი...); • ქაქუცა ჩოლოყაშვილის-საიუბილეო თარიღის აღნიშვნა; 		



პროგრამის აღწერა და მიზანი

- თუშეთში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული აქტივის წაყვანა „მეცხვარის დღის“ აღსანიშნავად; შაბათობა ჯოყოლოს ქართულ ეკლესიაში; ილტოს ხეობის სოფლების და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით კაფიაობა-ლექსობის ჩატარება;
- ახალი სასწავლო წლის დაწყების მილოცვა - კონცერტი;
- ახალგაზრდული საზაფხულო ფესტივალი კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მონაწილეობით -დამგობრების ფესტივალი;
- პროექტის „ცოცხალი წიგნის“ ფარგლებში შეხვედრა თანამედროვე პოეტებთან და მწერლებთან;
- ტურები „რა,სად, როდის?“ (მაისი- ნოემბერი);
- საგანმანათლებლო მედია-პროექტი „ეტალონი“;
- ახალგაზრდა შემოქმედთა პოეზიის საღამო, შეხვედრები ახალგაზრდულ კლუბში, მათ შორის გასვლითი - სოფლის აქტივთან და დასუფთავების აქციები (წლის განმავლობაში) საახალწლო ღონისძიებების კვირეულში ჩართვა;
- ტრანსპორტირების ხარჯები - წლის განმავლობაში;
- ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება;
- გენდერული საბჭოს ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ხარჯებისათვის .

ქვეპროგრამის მიზანია ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გააქტიურება, სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ეთნიკურ უმცირესობებთან ინტეგრირების ხელისშეწყობა, ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული სასარგებლო პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, კონკურსის წესით საუკეთესო ინიციატივების შერჩევა და პრიორიტეტის მინიჭება, მათგან ყველაზე კრეატიულისა და ინოვაციურისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		2024 წელი
			91.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გაზეთი „ბახტრიონი“ გამოდის თვეში ორჯერ, ერთი ნომერი 500 ეგზემპლარია, ბეჭდვის ღირებულება 180 ლარი. წელიწადში ორჯერ გამოიცემა სპეც. ნომერი. გაზეთი ვრცელდება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მოსახლეობას საშუალება ეძლევა უფასოდ მიიღონ გაზეთი და გაეცნონ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულები, როგორც მკითხველის რანგში, ასევე გაზეთში რაიმე სახის ინფორმაციის მოწოდებაში. გაზეთი ხელს უწყობს შემოქმედი ახალგაზრდების ნიჭის გამოვლენას. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები თავის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად ავრცელებენ გაზეთს, გარდა ამისა, ისინი ასევე თანამშრომლობენ და აწვდიან ნებისმიერი სახის ინფორმაციას. რედაქციას გააჩნია საარქივო მასალები, რომელიც მოიცავს 70-იანი წლების ისტორიას მუნიციპალიტეტში არსებულ ბეჭდვითი მედიის შესახებ, ასევე ფოტომასალის სახით. დაინტერესებული პირები აკითხავენ ამ მიზნით გაზეთს და ადგილზე ეცნობიან მათთვის სასურველ ინფორმაციას. გაზეთი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს გაზეთის ფურცლებზე გამოხატოს თავისი აზრი. თავისი მასალების შინაარსით ცდილობს იყოს შუამავალი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის და ის პრობლემები, რომელიც რეალურად დგას ჩვენი მოქალაქეების წინაშე, ხელისუფლებას გააცნოს გაზეთის საშუალებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია გაზეთის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმაციულობის გაზრდა და ჩართულობა.</p>		

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,597.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	277.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	277.2
06 02	სოციალური დაცვა	2,231.1
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	571.1
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	456.4
06 02 03	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	520.9
06 02 04	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	15.1
06 02 05	ა(ა)იპ სოციალური სახლი	667.6
06 03	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება	43.9
06 04	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსება	45.0

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში
	06 01		2024 წელი
			274.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჯანდაცვის მართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.</p> <p>ძირითადი მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	06 01 01		2024 წელი
			277.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		



სამსახური	
ქვეპროგრამის ღწერა და მიზანი	<p>„ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების კომპონენტი “ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის „მალარიის კერებში დაავადებაზე სავარაუდოდ საეჭვო პირების სკრინინგული კვლევის ქვეკომპონენტი . ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სავალდებულო მოვალეობების განხორციელება. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მუნიციპალური პროგრამა. აგრეთვე ხორციელდება გეგმიური აცრები შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტუბერკულოზი 2. ბ ჰეპატიტი 3. დიფტერია 4. ყივანახველა 5. ფემოფილუს ინფლუენსა 6. პოლიომიელიტი 7. წითელა 8. წითურა 9. ყბაყურა 10. როტა ვირუსი 11. პნევმოკოკური პნევმონია 12. პაპილომა ვირუსი 13. ტეტანუსი 14. ცოფის 15. გრიპის 16. კოვიდის <p>უმუალოდ აცრის პროცესი ხორციელდება ევექსის კლინიკაში, დუისის რეგიონალურ ჯანდაცვის ცენტრში და სოფლის ამბულატორიებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;</p>

სოციალური პროგრამები

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02	სოციალური პროგრამები	დაფინანსება ათას ლარებში 2024 წელი 2,231.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეთა სამედიცინო ხარჯების დაფინანსება (მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების, მედიკამენტების) მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა.</p> <p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.</p> <p>ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ბავშვის უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 01		2024 წელი
			571.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ზავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების დაფინანსება, მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომოტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ზავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა) წლის განმავლობაში არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. • ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური, სისტემური წითელი მგლურას და გაფანტული სკლეროზის მქონე, აგრეთვე ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პირებისთვის თანხის თანადაფინანსება წლის განმავლობაში არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა. <p>ქვეპროგრამის მიზანია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დახმარება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 02		2024 წელი
			456.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, ზავშვთა უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
